


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 31 ივლისი 23, 1895 წ. № 31



შინაარსი: ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—თ. დ-მ. დადიანი.—ცოტაა ჩვენში ლექსი ილ. ჩ—ლისა.—ლობიოსა და ლობიოსნაირ მცენარეთ მნიშვნელობა ნიადაგის გასანოყიერებლათ.—შახსეი-ვახშეი.—უცხოეთიდან ფიქრი და შენიშვნები ნიკო გურულისა.—საშინელი ქარიშხალი დუტუ მეგრელისა.—ღია წერილი ბ. ტ. ივანიცკის.—ბანკის განცხადება.

## ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე.

შაბათს, ამ თვის რვას, ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ იდღესასწაულა შიომღვიმის მონასტერს ბერობაში სამსახურის ორმოც-და-ათი წლის შესრულება. მარად მშვიდმა და თავმდაბალმა მეუფემ არ ისურვა აღნიშნული დღის გამოქვეყნება და ამის გამო გაეშურა შიომღვიმის მონასტერში წყნარათ, სიმდაბლით ღვთისათვის მადლობის გადასახდელათ ბერებსა და ნათესავთა შორის. რვა ივლისს წირვა შეასრულა არხიმანდრიტმა ლეონიდემ მონასტრის კრებულთან ერთათ. წირვას შემდეგ, სამადლობელი პარაკლისის დაწყებამდე, არხიმანდრიტმა ლეონიდემ მიმართა მოხუცებულ ბიძას შესაფერი სიტყვით, რომელიც დასტამბული იყო „ივერიაში“. შემდეგ პარაკლისის გადახ-

დისა, თვით იუბილიარი შეიმოსა სამღვდელმთავრო მანტიით და კრებულთა ლმობიერი გალობით ტაძრიდან წარემართა იმ ალაგს, სადაც გადაეწყვიტა ბერებისთვის ახალი შენობის აგება. აქ აკურთხა ახლათ გაჭრილი საფუძველი და თავათვე ინება ოთხსავე კუთხით საძირკვლის ჩაყრა. შემდეგ საძირკვლის კურთხევისა პატივცემულმა ნ. ზ. ცხვედაძემ მიმართა ეპისკოპოსს გრძნობიერი სიტყვით, რომელშიაც მოკლეთ და მარტივათ გამოხატა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს შრომა-ღვაწლის მნიშვნელობა სამშობლო ეკლესიისათვის. იუბილიარს მოუვიდა მილოცვის ტელეგრამები: საქართველოს ექსარხოსისა, არხიმ. ნიკოლოზისა, არხ. კესარიოსისა და მრავალთა სხვათაგან, ვისაც კი შემთხვევით გაეგო ეს გარემოება.

აქვე მოკლეთ მოგვყავს ბიოგრაფიული ცნობები მის ყოვლად უსამღვდელოესობაზე. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე დღეს 69 წლის არის, მაგრამ ჯერ სრულიად ტან-მთელი და შეხედულებით ჯან-საღია. იგი დაიბადა გორის მაზრაში 1826 წ. მამა მისი, დავით ოქროპირიძე ერთი სოფლის მღვდელი იყო. უკანასკნელი ფრიად სათნო და გულ-კეთილი ადამიანი ნამდვილი წარმომადგენელი იყო ჩვენებური უწინდელი მღვდლებისა. მ. დავითმა თვისი შვილი ჯერ სასულიერო სასწავლებელში მისცა სასწავლებლათ და შემდეგ სემინარიაში გადიყვანა. ორსავე სასწავლებელში დიდ ნიჭსა და გონების დიდ სიფხიზლეს იჩენდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსანდრე. მან წარჩინებულ მოწაფეთა რიცხვს შორის დაამთავრა სემინარია 1845 წ. ამავე წელს მისი ყოვლად უსამღვდელოესობა თავისი სურვილისამებრ ბერ-მონაზონი შეიქმნა. ტფილისის ფერისცვალების მონასტერში შერიცხული 1846 წ. წელს უმაღლესი განათლების მისაღებათ, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ყაზანის აკადემიაში შევიდა. იქ ოთხი წელი დაჰყო და ვრცელი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო განათლება მიიღო. კურსი დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით 1850 წ. ამ წელს შემდეგ იწყება დაუღალავი და სრული მოღვაწეობა ეპისკოპოზის ალექსანდრესი მშობლიური ეკლესიის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლათ და გასაუმჯობესებლათ.

1851 წ. ალექსანდრე ბერი (ასე ეძახდენ მას) თბილისის სემინარიაში დაინიშნა მასწავლებლათ. მაგრამ აქ დიდხანს არ დაუყვია, რადგან ამავე წელში აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველობა მიიღო. აქ ის დიდი გულმოდგინებითა და დაუღალავათ ზრუნავდა სასწავლებლისა დ მოსწავლეებზე და ამ უკანასკნელთათვის ნივთიერ დახმარებასაც კი არ იშურებდა. ყირიმის ომმა მალე ხელიდან გამოაცალა სამზრუნველო და სატრფიალო სასწავლებელი: იგი დახურულ იქმნა და ალექსანდრე ბერი ქუთაისში გადმოიყვანეს სასულიერო სასწავლებელშივე ზედამხედველათ. ყირიმის ომი გათავდა თუ არა, ალექსანდრე მაშინვე დანიშნეს იღუმენათ აფხაზეთის კათედრაზე. ამავე ე. ი. 1855 წლის გასულს მან არხიმანდრიტობა მიიღო. აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე იმერეთში რომ გადმოიყვანეს, მისი ადგილი ყოვლად უსამღვდელოესობას ალექსანდრეს ჩაებარა. აფხაზეთში მყოფობის დროს დიდი ენერგიით ზრუნავდა და მოღვაწეობდა ეკლესიისა და სასწავლებლის სასარგებლოთ. ამ მიზნისათვის იგი არ იშურებდა არც ფიზიკურსა და არც მორალურ ძალ-ღონესა. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ნივთიერათაც კი ეხმარებოდა ღარიბ მოწაფეთ და თავის ხარჯით საყდრებს აახლებდა და აუმჯობესებდა. მაგ. მან განაახლა საყდარი, რომელიც სოხუმიდან ორი ვერსის მანძილზე იმყოფება და ილორის სასწავლებელს ფულით შემწეობა აღმოუჩინა.

1869 წ. 30 მაისს მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსანდრე ქართლის ეპარქიის ვიკარნათ და გორის ეპისკოპოსათ იქნა დანიშნული და მას აქეთ ამ თანამდებობაზე განუწყვეტლივ იმყოფება. მხოლოთ 1882 წ. რამდენსამე ხანს დროებით განაგებდა გურიის ეპარქიას. 1869 წელში მას მიანდვეს თავმჯდომარეობა იმ კომისიისა, რომელსაც უნდა განეხილა და გაესწორებინა ქართული დაბადება. 1877-ში უმაღლესი მადლობა მიიღო, რადგან მან თვისი მოვალეობა ამ მხრით ზედმიწევნით შეასრულა. 1878-ში მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ მიიღო წოდება წევრისა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სასულიერო კომიტეტისა. 1886 წლიდან გამგებელია დავით გარეჯელის უდაბნოსი. ამავე წელს მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ 2,100 მ. შეწირა შიო მღვიმის უდაბნოს შესაკეთებლათ და გასაუმჯობესებლათ. ამას შემდეგ შიო მღვიმის უდაბნო მონასტრათ იქნა დამტკიცებული, მის გამგებლათ კი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე დაინიშნა. ამ მრავალ გვარის მოღვაწეობისათვის იგი ბევრნაირის ჯილდოთი არის შემკობილი.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე არა საშუალებას არ იშურებს, რათა მშობლიური ღვთის მსახურება მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრდეს და გამტკიცდეს. ამ მიზნის მისაღწევათ მან ხარჯი გაიღო, რათა აღდგენილ იქმნეს ქართლ-კახეთის საეკლესიო გალობის კილო; ძველი ქართული საეკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნე-

ბი თავისივე საფასით გამოსცა იმ აზრით, რომ უმაღლესათ მომზადებულნი და სათნო ღვთის მოსავნი ეყოლოს ჩვენს ეკლესიას. ამიტომ ყოველად უსამღვდელოესობას სტიპენდიებიც კი აქვს თავის სახელობაზე სემინარიასა და აკადემიაში დანიშნული.

ასეთმა მისმა თავ-განწირულმა შრომამ სამშობლო ეკლესიისათვის მოუხვეჭა მას ქართველ ხალხში დიდი სიყვარული. ვისაც კი ჰსმენია მისი წმინდა მოღვაწეობა, ყველანი მიილტვიან მასთან, რომ დატკბენ მისი სათნოებით სავსე საუბრით და გახდენ ბედნიერი მისი გაცნობისა. აი, ასეთი თავ-განწირული სასულიერო მწყემსმთავრები ეჭირვება დღეს საქართველოს ეკლესიას, რომ თვით გაქსუებული ერი ეროვნულ სარწმუნოებაში ჩააგდოს და თვითცნობიერებაში მოიყვანოს.

## სხვა-და-სხვა ამბები

საგლეხო ბანკის ახალი პროექტი შეუმუშავებიათ. ეს პროექტი თურმე საგლეხო ბანკს ანიჭებს უფლებას შეიყიდოს მემამულეთა დავალიანებული მიწა-წყალი, რომელიც გლეხებს ან იჯარით უნდა მიეცეს და ან პატარ-პატარა ნაჭრებათ მიეყიდოს.

***

თბილისის ქართველ ხელოსანთ განუზრახავთ მიართვან თავ. რ. ერისთავს საიუბილეო დღეს საწერი მაგიდა, რომლის გეგმაც უკვე შეუკვეთიათ ერთ ახალგაზდა ხუროთმოძღვრისათვის.

***

კვირას, 16 ამ თვეს, ქალაქის თავის მოადგილის თანადასწრებით აკურთხეს საურთიერთო სამეურნეო ნდობის (კრედიტის) სადგომი.

***

ამ წლის პირველ ოქტომბრიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლა დაკლებული ფასით იქნება.

***

მთავრობას უკვე გადუწყვეტია კავკავი ამიერ-კავკასიას რკინის გზით შეუერთოს.

***

ბბ. იასონ მეგრელიძე და დომენტი ჩხაიძე შედგომიან თარგმნას მონტეგაცის თხზულებისას—Счастье и трудъ—და ითხოვენ სხვა ნულარ ინებებს ამ თხზულების ქართულზე გადმოღებასო.

***

ჩვენ სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ მონტეგაცის თხზულება კიდეც გადუთარგმნია ერთს მოსკოველ სტუდენტს.

***

გამოვიდა მეექვსე სახალხო წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია: „კლდე-მაღალას ციხე“ —(ისტორიული ლეგენდა) და ლექსნი: ნ. ბარათაშვილისა —„საფლავი მეფის ირაკლისა“—და გ. აბაშიძის: „გადია“. წიგნი 3 კაპ. ღირს.

***

ს ი ღ ნ ა ღ ი დ ა ნ იწერებიან გაზეთ „ივერიაში“, რომ იქაურ დეპოს ამხანაგობას ფრთები გაუშლია და სხვა ალაგებშიაც აპირებს კანტორების გახსნასო. ასეთს ამხანაგობას მხოლოთ ის მნიშვნელობა აქვს ჩვენში, რომ ხალხს ათავისუფლებს უცხო-ტომის ჩარჩების ეკონომიურ მონებისაგან, თუმცა სამაგიეროთ თავის საკუთარს ჩარჩებს აჩენს; მაგრამ ნათქვამია, „შინაური ჭირი მირჩევნია გარეულ ლხინსაო“ და ჩვენც თანავუგრძნობთ ასეთ ამხანახობის წარმატებას იმდენათ, რამდენათაც ის აძლიერებს ქართულ მრეწველობას და იხსნის მას უცხო ტომის ეკონომიურ დამონებისაგან.

***

ამ დღეებში გადაიცვალა მარიამ ალამალიანის ქალი, გამომცემელი გაზეთის „მშაკისა“. ეს ქალი იყო მახლობელი ნათესავი ბატონიშვილის ირაკლისა (გრუზინსკით წოდებულისა), რომელიც შთამოებდა სახელოვანის ირაკლი მეფისაგან. ამ ქალს დიდი ზეგავლენა ჰქონდა სომხის საზოგადოების წარმატებაზე. ის იყო გამამხნევებელი და მანუგეშებელი ყოველს გაჭირვებაში წარჩინებულის მწერლის გრიგოლ არწრუნისა.

## საყურადღებო ამბები

გ ურია. ოც მაისს ქ. ოზურგეთში დაბარებულნი ვიყავით. უნდა გავეზომეთ „ოპოლჩენებში“ ჩასაწერათ და ზოგი ჩვენგანი მთლათაც უნდა განთავისუფლებულიყო. დაბარებისამებრ, საწყლებმა მივატოვეთ მინდორში კავი და სახნისი, გადვიკიდეთ მხარზე ორი დღის საგზალი და გავეშურეთ ოზურგეთისაკენ. ჩვენ შორის იყვენ ართვინიდან, რომელიც სამოც-ოთხმოც ვერსზეა დაშორებული ოზურგეთზე. შაბათს, ოც მაისს, ასე ცხრა საათზე, თითქმის მთლათ ავავსეთ პოლიციის ეზო. ორი საათი შესრულდა, საქმე ჯერ მაინც არ დაწყებულიყო. ამ ლოდინში რომ ვართ, ვნახოთ, ერთი „ჩინოვნიკთაგანი“ გამოვიდა და ყალბი მოფერებით გამოაცხადა: „შვილებო, დღეს ქუთაისიდან გუბერნატორისაგან დანიშნულ თავმჯდომარეს ველოდით, მაგრამ აღარ ჩამობრძანებულა. ამიტომ აქ სამშაბათამდის უნდა დაიცადოთ, — ხვალ და ზეგ უქმეა. ამის გაგონებაზე ყველას ზაფრა გვეცა. აუტანელი იყო ჩვენი მდგომარეობა: წავსულიყავით, ოროლი დღე მარტო ჩასვლას მოუნდებით; აქ დავრჩენილიყავით შიმშილი სულს ამოგვხდიდა. ხალხში საშინელი დრტვინვა და ჩივილი გაისმა, მაგრამ ხმა მაღლა, აბა, ვინ რას გაბედავდა: პოლიციის ეზოდან ცხვრებსავით გამოგვრეკეს. რა უნდა გვექნა! დავემორჩილეთ ჩვენს ბედს და წასვლას დარჩენა ვამჯობინეთ. თუ სადმე ორი გროში ჩაგვრჩენოდა ჯიბაში, ისიც ძალაუნებურათ მიკიტნებმა გამოგვცინცლეს ხელიდან. სამშაბათს ცხრა საათზე კვლავ შევიკრიბენით პოლიციის ეზოში. არც ერთს ჩვენგანს ეჭვი არ შამოგვპარვია, რომ დღეს კიდევ მოგვაცდევინებდენ, მაინც გვაღირსებდენ თავისუფლებას, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როცა ასე პირველ საათზე გამოვიდა ერთი სულით შეწუხებული პოლიციის მოხელეთაგანი და წამოგვიყრანტალა, ხვალემდის კიდევ უნდა მოითმინოთო. კვლავ ხალხში დრტვინვა და წუხილია, მაგრამ ვინ უნდა გამოგვჩენოდა გულ-შემატკივარი და შემბრალებელი. არა, ამ ოჯახ-ამოსაბუგავებს, თუ თავმჯდომარე საძებნათ ჰყავდათ, ჩვენ შავი ზღვიდან, ან სურების მთის მწვერვალოდან რალით მოგვაჩანჩალებდენ. საკვირველია, ღმერთმანი! ამდენი ხნის განმავლობაში კოწია თავართქილაძემ საბეჭდავი მანქანა გამოიწერა მოსკოვიდან და კიდეც მიიღო, თავმჯდომარის ქუთაისიდან ჩამოსვლას კი არაფერი ეშველა.. გულ-დათუთქულები ისევ გავშორდით პოლიციას იმ იმედით, რომ ხვალ მაინც გაგვზომვენ, გათენდა ოთხშაბათიც, მაგრამ თქვენც არ მოუკვდეთ ჩემ თავს, ჩვენ მაინც არაფერი არა გვეშველარა. ტვინი ამოგვიხმო მზემ. ვგონებ, ამ წელიწადში აქ გვიპირებენ დარჩენას. ასეთ აუტანელ მდგომარეობაში ვართ. ხვნასა და თესვას და სხვა საოჯახო საქმეებსაც მოკლებული ვართ, აქ ვცხარჯებით და შემოდგომაზე რა ჯადო-ქარი აგვივსებს ბეღლებს.

სურებელი გლეხი.

*
* *

ს. ჯუმათი (ოზურგეთის მაზრა) ჯუმათის საზოგადოებაში მომაღლო ადგილზე აგებულია ძველი ნაშთი მონასტერი, სადაც ყოველ წლობით, 12 ენკენისთვიდან რვა დღის განმავლობაში იმართება იარმარკა. აქ ვაჭრები და სოფლები იაფ-ფასათ ასაღებენ თავიანთ ნაწარმოებს. მონასტერის მიდამო მაღლობი ადგილია და ჰავაც სააგარაკოა. ამიტომ ზაფხულობით მოდის დიდ კაცობა და ექიმების რჩევით ავათმყოფებიც. ამ მონასტრიდან ორი-სამი ვერსტის სიშორეზე სოფლის სასამართლოსთან არის სამი სამკურნალო წყალი ერთი თბილია, ორი-კი ცივი. ენკენისთვის ბოლომდე აქ სხვა და სხვა კუთხიდან იკრიბებიან ავათმყოფები საბანებლათ. მაგრამ საუბედუროთ არც ერთი წყალი რიგიანათ მორთული, არ არის. წყლები გზის პირათ, შიშველა მინდორზე არიან, არვის არ მოუფიქრებია, რომ შემოღობონ. საკმაო აუზიც არ არის ამოთხრილი. არვინ არ ფიქრობს ამ წყლების სიფაქიზეზე და სისუფთავეზე. წყლები კი დიდი ღირსებისანი არიან. წ სულ 1894 წელში ოზურგეთის მაზრის ექიმმა გასინჯა ეს წყლები და გამოაცხადა: ერთი გოგირდის აბანო არისო და უხთება ქარებიან ავათმყოფებსო; მეორე ცხელებით სნეულთათვის ძლიერ სასარგებლო არის და თავისი ღირსებით ბორჯომის აბანოებს არ ჩამოუვარდებაო. მესამე რკინის წყალია. ექიმმა რამოდენიმე ბოთლით თან წაიღო სანიმუშოთ ეს წყლები და აღგვითქვა, ვიშუამდგომლებ, რომ ეს აბანოები შესაფერათ მოაწყონო. მაგრამ ამ აღთქმის შესრულება ჯერ არსით ჩანს. უეჭველია, ამ საქმეს ბ. მაზრის უფროსი თვით მიაქცევს ყურადღებას და ამ აბანოების რიგიანათ მოწყობას მოინდომებს.

აქაური ღარიბი

*
* *

დ. სურამი. როგორც მოგეხსენებათ, დ. სურამი სხვა საქართველოს ალაგებთან შედარებით ბუნებით მრავალნაირათ დაჯილდოებულია: კარგი მო-

სავალი, სავსებით აკმაყოფილებს აქაური ხალხის შრომას; გაშლილი, სუფთა გზები აადვილებს გარეშე ხალხთან მიმოსვლას და გრილი ჰაერი, რომელიც ზაფხულობით ბევრს გარეშე ხალხს იწვევს საცხოვრებლათ. ამ მხრით, სურამი ბევრით აღემატება სხვა ადგილებს. რა თქმა უნდა, ყველა ეს ღირსება ხელს უმართავდა, რომ გონებრივ სიფხიზლეს ფრთები აესხა, მაგრამ სამწუხაროთ, ამას ვერ ვხედავთ სურამში. ჩანს, რომ თუ კაცი შევიწროებულია რაიმე გარეშე გარემოებით, მაშინ უფრო ემატება მას მხნეობა, და მის გულში უფრო ილვიძებს მისწრაფება ცხოვრება გააუმჯობესოს. აქამდის თუ ასე მიძინებული იყო სურამის ცხოვრება, ახლა კი გამოფხიზლდა. დღეს აქაური საზოგადოება ალტაცებით მოელის ქართულ წიგნთ-საცავს, რომელიც ამ მოკლე ხანში დაარსდება. კარგი იქნება, სურამელები ერთ ნაკლსაც მოიშორებდენ. სურამს არა აქვს არავითარი გასართობი, რომელსაც კეთილი გავლენა ჰქონდეს ცხოვრების ამა თუ იმ მხარეზე. ამიტომ ხალხი ადვილათ ეწაფება მავნებელსა და გამრყვნელ გასართობებს. აქ კვირაში ორჯერ „პარკში“ „საცეკვაო სალამოები“ იმართება. ხალხი ბლომათ ესწრება, მაგრამ ბევრს ვერაფერს ხედავს: საცეკვათ რომელიმე ახალგაზდა გამოვა და გამოიწვევს ახალგაზდა ქალს; უკანასკნელი ცოტახანს განაზდება და ბოლოს, ხანგრძლივ თხოვნას შემდეგ, ნაზათ გამოვა. მთელი სალამო ამით თავი უნდა გაირთონ! ამ ერთგვარობით „საცეკვაო სალამო“ მოსაწყენია და გასართობის მნიშვნელობას სრულიად არ ეთანხმება. უმჯობესი არ იქნება, საქველმოქმედო გასართობები გამართონ? ქართული წარმოდგენები სურამში ან სულ არ არის, ან არის, მაგრამ ათასში ერთხელ, თუმცა ხალხს დიდი სურვილი და სიყვარული კი აქვს. ამის ასრულება ადვილი საქმეა, რადგან აქ საკმაოთ მოიპოვება ნიჭიერი ახალგაზდები.

სტუმარი.

*
* *

დ. ზესტაფონი. პირველ ამ თვეს დიდი თანაგრძნობით გააცილა აქაურმა საზოგადოებამ ახალგაზდა ექიმი, იოსებ ლუკასძე ჯინორიძე. ერთი კვირა გადის, რომ თუ ცალკე ოჯახებში და თუ ერთათ ყველანი უმართავდენ სადილს ამ ძვირფასს ადამიანს და დაუზარებელს ექიმს. ეს ახალგაზდა ექიმი სულ რამოდენიმე წელიწადია, რაც ჩვენში მოვიდა და აქაურებს მეტათ შეეჩვია. მთელი ჩვენი მაზრა შევიწროვებული და შეწუხებული იყო აქაური სამაზრო ექიმის საზღვარ გადასული საქციელით. ენა მან არ იცის, მის ოჯახში მისვლაც საძნელოა, (ძაღლები ჰყავს აშვებული დღე და ღამე) შრომის ფასათ სამი-ოთხი ვერსის სიშორეზე 10—15 მანეთს წინდა-წინვე ითხოვს, ყველა ამ სიძნელეს კი ხალხი ვერ აიტანდა დღევანდელი სიღარიბისა და უფულობის გამო. სწორედ ამ გაჭირვების დროს მოგვივიდა ბ. ჯინორიძე, რომელმაც ხალხის და მთელი საზოგადოების სიყვარული ქუთაისშივე დაიმსახურა. იქ ხოლერობის დროს თავგანწირულათ ებრძოდა ამ საშინელ სენს. მოვიდა თუ არა, იმ ხანებშივე დაიმსახურა აქაური საზოგადოების პატივისცემა; როგორც უანგარო დაუზარებელმა, საქმის ბეჯითათ დამკვირვებელმა ექიმმა და დაუფასებელმა ამხანაგმა—მეგობარმა დღეს უექიმოთ დაგვტოვა. მართალია, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ კუთხეში გადაიყვანეს, ისეთ კუთხეში, სადაც განათლების შუქი უფრო მკრთლათ და სუსტათ ანათებს, მაგრამ ასეთი დაუზარებელი, გონება-განვითარებელი და კეთილის მიმართულების კაცი ჩვენთვის დიდი დასაკლისია. ლეჩხუმისათვის კი, სადაც იგი გადიყვანეს, ასეთი კაცის მოსვლა ფასდაუდებელია, რადგან სწორედ ასეთი კაცები შეიტანენ სინათლეს იქ და იმისთანა ადგილებში. შეიძლება, ასეთ მოუწყობელ მხარეში გაჭირვებაც კი გამოცადოს ცოტაოდენი თვით ბ. ჯინორიძემ, მაგრამ

„სინათლე უნდა იქ, სადაც კი უფრო ბნელია,
ცეცხლისა შემოჯკთება, თუ კი რომ ცოტა ნელია,
და იქვე ჩაბმა ვაჟკაცთა, სადაც კი უფრო ძნელია“.

ამბობს ჩვენი უკვდავი ყაზიბეგი. დღეს ჩვენი მაზრა უექიმოთ დარჩა, ცუდს არ იზმენ, თუ რომ ჩვენი ახალგაზდა ექიმები არ დაიზარებენ და თავიანთ მოწყალების თვალს ჩვენსკენაც გადმოავლებენ. ჩვენ მაზრაში ორ ექიმს თავისუფლათ შეუძლია იმუშაოს და გაუჭირვებლათ იცხოვროს.

თ. ხუსკივაძე.

## † თ. დიმიტრი დადიანი

თავადი დიმ. დადიანი ეკუთვნოდა წარჩინებულს დადიანების გვარს და თავის გვარში, თუ არ ვცდებით, პირველი იყო, რომელმაც საკმაოთ საფუძვლიანი ევროპული განათლება მიიღო. ის სწავლობდა ჯერ ოდესის უნივერსიტეტში, შემდეგ წავიდა საზღვარ-გარეთ, იყო შვეიცარიაში და საფრანგეთში. მისი განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული სამეურნეო სწავლის შეძენაზე. ათას რვაას მეოთხმოცე წლებში ქუთაისის ინტელიგენცი-ამ ამოირჩია ის გაზეთის „შრომის“ რედაქტორათ, მაგრამ მეორე წელიწადს დაანება თავი რედაქტორობას და გახდა ქუთაისის საურთიერთო ბანკის დირექტორათ. მესამე წელიწადს ის არჩეულ იქმნა ქუთაისის მიხაილოვის ბანკის მმართველათ. ამ ბოლოს დროს ფოთის ქალაქის თავის მოადგილეთაც აირჩიეს. ქუთაისის ინტელლიგენცია ემდუროდა მას, იმიტომ რომ რაკი ბანკში სამსახური დაიწყო, გაზეთ „შრომას“ თავი მიანება და მისი მიზეზით დაიხურაო. მიუცილებლათ, თ. დიმ. დადიანი კეთილი მიმართულების კაცი უნდა ყოფილიყო და სურვილიც ბევრი უნდა ჰქონოდა კარგის გაკეთებისა. მაგრამ რასაც კი იკისრებდა, ყოველი საქმე ხელიდან უვარდებოდა. ამის მიზეზი ალბათ მისი სუსტი აგებულება და შრომის მიუჩვევლობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ რაც უნდა იყოს, იგი მაინც ყოველი კეთილის თანამგრძნობელი იყო და ასეთი კაცის უდროოთ დაკარგვა დასაკლისათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი საზოგადოებისთვის.

## ცოტაა ჩვენში

ცოტაა ჩვენში ისეთი კაცი,
ვის მოძმის ჭირი გულს უწყლულებდეს
და ვისაც მცნება ძმათ მოყვარების
ცხოვრების გზასა გაუბრწყინვებდეს.
ლამის ბილწობამ მამა-პაპისამ
ჩვენ მიგვიყვანოს უფსკრულამდისა,
დაგვაუძლუროს სულით და ხორცით,
სასოც მოგვიკლას მომავლისა.
ღმერთო! მოგვხედე და მოგვივლინე
კაცნი აზრით და გრძნობით ძლიერნი,
ხასიათითა კლდესავით მტკიცე,
ძმათ-მოყვარულნი და ენა-მჭევრნი.
იმათ იქნება დაგვიფრთხონ ძილი,
გამოგვაფხიზლონ, ზე-აგვაყენონ,
შეცდომილების გზაზედა მსვლელებს
გზა სასურველი ნათლათ გვიჩვენონ.
ეგებ მათ ჩვენ სუსტ არსებობაში
შთაბერონ ყოვლად ძლიერი სული,
ფრთები შეასხან ჩვენ მკრთალ ცხოვრებას,
და ჰკურნონ სევდით მოწყლული გული.
ეგებ მათ ჩვენში შთანერგონ მცნება
სანატრელ ძმობის სიყვარულისა
და გაგვიმტკიცონ წმინდა იმედი.
ეგებ მას შემდეგ მოისპოს ჩვენში
ტაკიმასხრების ბილწი მეფობა,
ანგარებითი იმათი ბრძოლა,
მათი მეძავი ფარისევლობა!

ილ. ჩ—ლი

## ლობიოსა და ლობიოსნაირ მცენარეთ მნიშვნელობა ნიადაგის გასანოყიერებლათ

„ივერიის“ მე-№147-ში ბ. ვ. წ. აგრონომებს თხოვდა აეხსნათ, მართალია თუ არა ის, რომ ლობიოს ტანი და სხვა ნაწილები ნიადაგს ასუქებს და ანოყიერებსო. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვაძლევთ ამ თხოვნის პასუხს.

ნიადაგიდან ყოველ მცენარეს საკვებათ წყალში გახსნილი მარილები ამოაქვს. ეს მარილები ფესვებიდან ფოთლებში ადიან, ასე წოდებული ასიმილაციური ნაკადულით. თავის მხრით კი ფოთლები პირდაპირ ჰაერიდან ნახშირის სიმჟავეს ითვისებენ და ამ მასალებიდან ორგანიულ ნივთიერებათ ამზადებენ, რომელნიც ფოთლებიდან ტანსა და ყოველ ნაწილში გადადიან, განაწილდებიან და ამნაირათ მთელ მცენარეს ჰკვებენ. ზედმეტ წყალს კი, რომელიც მარილებს თან ამოყვება, ფოთლები ამოლღვშვინევით

იშორებენ. ამოსაფშვენი ბაგენი არიან ფოთლის ქვეშა ანუ უკანა პირზეა მოთავსებულნი და გასაოცარი აგებულება აქვთ. ბევრი არ არის რიცხვი იმ მარილებისა, რომელნიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ყოველგვარ მცენარისათვის. ცნობილია, რომ სხვა-და-სხვა მცენარეს სხვა-და-სხვა რაოდენობა ჭირდება ამა თუ იმა მარილისა. ამიტომ საზრიანი მიწათ-მოქმედება იმაზეა დამოკიდებული, იცოდე, თუ რომელი მცენარე რომელ ნივთიერებას აძლევს უპირატესობას და მას რამოდენს ხმარობს. თუ ეს არ იცით, მაშინ მიწათ-მოქმედება შემთხვევითი ხასიათისაა და არა საზრიანი. მაგ. ცნობილია, რომ ხორბლეულება, ვიდრე სხვა მცენარე, ნიადაგიდან უფრო მეტს აზოტურ მარილებს მოითხოვს. ამიტომ იმ ნიადაგზე, რომელშიაც აზოტური მარილების რაოდენობა მცირეა, ხორბლეულება ვერ იბოგინებს და არც კარგი მოსავალი იქნება. რადგან ხორბლეულება აზოტიური მარილებით იკვებება, ამიტომ ის ნიადაგი, რომელზედაც იგი გამუდმებით ითესება, აზოტით ღარიბდება, მწირდება და მოსავალსაც არ იძლევა კარგს,

ეს ნაკლულევანება რომ თავიდან აიცილოთ, ამიტომ საჭიროა ნიადაგს აზოტიური მარილები მიუმატოთ — პატივის მოყრით, რასაკვირველია. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ მეორენაირი საშუალებაცაა, ხოლო უფრო ადვილი და იოლი. ეს საშუალება კი სრულიად დამოკიდებულია იმ უტყუარ ფაქტზე, რომ ისეთი მცენარეებიც მოიპოვებიან, რომელნიც არ საჭიროებენ ნიადაგიდან ილონ აზოტური მარილები: აზოტს პირდაპირ ჰაერიდან ითვისებენ და აზოტურ მარილებს თავისთავათ ამზადებენ. ჰაერში აზოტი ხომ ბლომათ მოიპოვება. ასეთი თვისება აქვს ლობიოს, ცერცვს და ყველა მათ ნაირ მცენარეთ. ამათ ფესვებზე ტანის ახლოს პატარ-პატარა ხორკლები აქვთ, განსაკუთრებული აგებულებისა. ამ ხორკლების საშუალებით ლობიო ჰაერიდან აზოტს ითვისებს, აზოტურ ნივთიერებათ ამზადებს და მათ აგროვებს. ამიტომ ლობიოსათვის სრულებით საჭირო არ არის ნიადაგს აზოტური მარილები წაართვას. იმ ნიადაგს, რომელზედაც ლობიო დავთესეთ, აზოტის თითქმის არც ერთი ატომი არ დახარჯულა. თუ ლობიოს ძირიან ფესვებიანათ არ ამოვთხრით და იქვე დავტოვებთ, მაშინ ამით ნიადაგს მიუმატებთ იმდენ აზოტურ ნივთიერებათ, რომელნიც ლობიომ თვით დაამზადა ჰაერის აზოტიდან. ამას კი იგივე მნიშვნელობა ექნება, რაც თვით პატივის მოყრას, აზოტურ ნივთიერებით გასუქებას.

რადგან ასეა, — ეს კი ყოველ ეჭვს გარეშეა, — ყოველი კეთილ-გონიერი მეურნე ასე უნდა მოიქცეს: ერთ რომელსაზე ადგილზე ლობიო უნდა დათესოს; ლობიოს პარკი, ან მხოლოთ თესლი, უნდა წამოიღოს იმ ადგილიდან, სხვა ნაწილი ლობიოსი კი იქვე უნდა დატოვოს. მაგრამ რომ უფრო მალე და სრულებით დალპეს ლობიოს ნაწილები, ამიტომ კარგი იქნება ის ადგილი გაითოხნოს ან მოიხნას. ამ ნაირათ ნიადაგს აზოტური ნივთიერებანი მიემატებიან. რადგან ხორბლეულობა ხარბათ ხმარობს აზოტურ მარილებს, ამიტომ ახლა, ლობიოს შემდეგ, ხორბლეულობა უნდა დაითესოს, მაგ. პური და მოსავალი ერთი-ორათ იმატებს.

ლობიოს კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ნიადაგს ასუფთავებს, წმენდს და ბალახ-ბულახს სპობს, და ეს იმიტომ, რომ სხვა ბალახ-ბულახი ლობიოს ვერ შეეცილება ნიადაგისათვის: თავის თვისების გამო ნიადაგის აზოტი ლობიოს არ ჭირდება, მალე და ადვილათ იზრდება და ბალახ-ბულახს დაძლევს, გადააჭარბებს. (კარგი იქნება მკითხველი გადაათვალიერებდეს „კვალის" მე-26-ე №-ში დასტამბულ სტატიას ამ სათაურით: „კეთილი განზრახვა").

ბუნების მეტყველი

## უცხოეთიდან

### ფიქრი და შენიშვნები

დასასრული *)

ჩვენში არ არის ჯერ კიდევ ისეთი ასპარეზი, სადაც შეეძლოს ჩვენებურ ახალგაზდას თავისი ნიჭი, სამშობლოსადმი თავისი ერთგულება გამოიჩინოს. რა თქმა უნდა, ქონება ვისაც აქვს, მას კიდე შეუძლია შეინახოს თავის-თავი, მაგრამ, რადგან უმეტესი ნაწილი ღარიბია, ძალა-უნებურათ სახელმწიფო სამსახურით უნდა ირჩინოს თავი, ამიტომ ჩვენი ნიჭი, ჩვენი მეცადინეობა ტყუილათ უნაყოფოთ, სრულიად წინააღმდეგ ჩვენის მიზნისა, სხვის ინტერესებისთვის ზრუნვაში ილევა. წარმოიდგინეთ, რა უნდა ქნას ჩვენებურმა ახალ-გაზდა ფილოლოგმა, რომელსაც აზრათ ჰქონდა თავის სამშობლოს ისტორიის შესასწავლათ მეცადინეობა, სად-

*) იხ. „კვალი" № 30

მე ერივანში, ან ეჩმიაძინში უნდა დალიოს სიცოცხლე; ესევე ბედი მოელის ჩვენებურ ბუნების მეტყველსა ბაქოში, ანუ ბათომში და ფინანსთა სამინისტროს უფლებაში უბრალო მოსამსახურეს. შეიძლება ზოგიერთმა თქვას, „თუ გული გულობდესო“, ყოველ ნაირ შემთხვევაში შეიძლება თავი გამოიჩინოს კაცმაო, მაგრამ ეს არ ითქმება იმისთანა საქმეზე, როგორიც არის მეცნიერულათ რასიმე გამოკვლევა და შესწავლა. ერთი უბრალო კითხვის გამოკვლევას და ახსნას ევროპიელები თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე უნდებიან, მუდამ ერთი და იმავე საგნით გატაცებულნი და ჩვენ, ევროპიელებთან შედარებით‘ სრულიად ანბანის უცოდნელებმა, როგორ უნდა მოვახერხოთ რასიმე დაწერა, ან რასიმე გამოკვლევა, როდესაც დილიდან საღამომდის „პროტოკოლების“ და „კოპიების“ წერას ვუნდებით. ამიტომაც, თუ გვინდა ჩვენი ახალ-გაზდობის ნიჭი და ძალა მშობლიურ ინტერესებისთვის სასარგებლოთ მოვიხმაროთ, მიუცილებელი საჭიროა მივცეთ შეძლება, საშუალება ამ ახალ-გაზდებს შეასრულონ თავის მიზანი, იმეცადინონ უზრუნველათ, მშვიდობიანათ ერთი რომელიმე საგნის გამოსაკვლევათ, ერთი მიზნის მისაღწევათ; უამისოთ ჩვენ ტყვილა დაგველევა ჩვენი პოტენციალური ძალა, ტყვილა დაგვეკარგება ჩვენი გონებრივი სიმდიდრე. ახლა, როდესაც მრავალი საქველ-მოქმედო საზოგადოებანი იბადებიან ჩვენში, როდესაც არსდება დიდი ხნიდან ნანატრი ახალ-გაზდობის დამხმარებელი საზოგადოება, მე მგონია, ჯერ კიდევ გვიან არ არის ამ საგანზე ავძრათ ლაპარაკი. თუ არ ვცდები, ზოგიერთებისგან კიდევაც წარმოითქვა ისეთი აზრი, რომ ახალ დამხმარებელ საზოგადოებას მხოლოთ ჩვენში და რუსეთში უნდა ჰქონდეს მიზნათ მოსწავლეების დახმარებაო. რა თქმა უნდა, ყოველ ნაირი დახმარება მოსწავლეებისათვის კარგია; მაგრამ ჩვენი მომავალისთვის, ჩვენი სარგებლობისთვის თითქმის ბევრათ უფრო მეტი საჭიროა ამ ჟამათ რომ აქ, ევროპაში,—საფრანგეთში და გერმანიაში რამოდენიმე ჩვენი სტიპენდიები გვქონდეს ჩვენებური ყმაწვილების გასაზდელათ სხვა და სხვა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში. შეიძლება ზოგიერთმა თქვას: „ჯერ დასაწყისს და უმაღლესს სასწავლებლებში დავასრულებიოთ სწავლა ჩვენ ყმაწვილებსო და მერე თვითონაც გაიკვლევენ გზასო“. საქმეც იმაშია, რომ ჩვენებური ახალგაზდა უნივერსიტეტში ყოფნის დროს ბევრათ უფრო მდიდარია, ვინემ ცხოვრებაში რომ გამოვა. აი, რატომაც არის, რომ იქ, რუსეთში ახალ-გაზდა შრომით, მეცადინეობით უმეტეს შემთხვევაში იშოვის შემწეობას: ხან გაკვეთილს, ხან დახმარებას, როგორც კერძოთ ისე საზოგადოებისგან და სწავლა დამთავრებული ჩვენებური ყმაწვილი სრულიად ღატაკია: შემწეობას კაცი არ მისცემს და არც ნება აქვს, რო ითხოვოს და ისე, არა თუ სწავლის გაგრძელება, პისარევის არ იყოს, „უზდელობამდის მისულ სიღატაკეში არის ჩავარდნილი, სანამ სადმე სამსახურში თავს შეიფარებს. ამიტომაც დრო არის, ახლავე შეუდგეს ჩვენი საზოგადოება ამ საქმისთვის ზრუნვას. კიდე შეგვიძლია, თუ მოვინდომებთ, ბევრი სამშობლოსთვის სასარგებლო საქმე მოვახერხოთ, თუ კი მუდამ ერთი და იმავე ენერგიით, გულ-მხურვალეთ, გრძნობით და რწმუნებით მოვეკიდებით საქმეს. შეიძლება იფიქროთ საფრანგეთში, ან გერმანიაში ნამეტანი ბევრი ხარჯი მოუნდება ჩვენებურ მოსწავლესო. სრულიადაც ისე ბევრი არ უნდა, როგორც გვგონია. 40—50 მანეთით რუსული ფულით აქ იცხოვრებს ჩვენებური ახალ-გაზდა რა თქმა უნდა, „სტუდენტურათ“, როგორც ჩვენში გვაქვს წარმოდგენილი ძველებური სტუდენტების ცხოვრება და არა ახლანდელი აქაური და ზოგიერთი რუსეთისაც. ბევრი „კულტურული“ საჭიროება დააკლდება ჩვენებურ სტუდენტს, მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით აქ უნდა ვიბრძოლოთ „ჩვენებურათ“, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი უმაღლესი მიზნით ისე გატაცებული, რომ დიოგენსავით თითქმის დავივიწყოთ ყოველივე ახლანდელი ნებივრობამდის მისული კომფორტი. ეს კიდევაც მოგვიხდება ერთი მხრით: რა კი ცოტა ფული ექნება ჩვენებურ მოსწავლეს, ძალა-უნებურათ უარი უნდა ჰყოს ყოველსავე აქაურ სასყიდელ სიამოვნებას, რომელიც ძლიერ ძვირათ ღირს. ერთი სიტყვით, თუ მოვინდომებთ, ისე ძნელიც არ არის ასრულება ამ აზრისა, როგორც გვგონია. რომ დააკვირდეთ, ყველა ახლანდელი ნაციების წარმოდგენილები გზავნიან თავის ახალ-გაზდებს პარიზში სხვა და სხვა საგნების შესასწავლათ. აქ არიან: ისპანიელი, იტალიელი, ბერძენი, რუმინელი, პოლონელი, ბულგარელი, სერბიელი, იაპონელი, სომეხი კონსტანტინეპოლიდანაც და თბილისიდან. მხოლოთ აქ პარიზში შეიძლება ადვილათ შეისწავლო და გაიცნო ნამდვილი ევროპიული ცივილიზაცია.

ჩვენი მეცნიერებისთვისაც რომ დიდი ნაყოფი არ გამოვიდეს ჩვენი ახალგაზდების აქ გზავნით, ისეც მიუცილებელი საჭიროა ეს ჩვენთქვის: ჩვენ მეტათ განდეგილივით ყრუთ ვიზრდებით, იშვიათათ ვინმე ჩვენგანი და მით უმეტეს ღარიბი ნასწავლი ლაპარაკობს ევროპიულ ენებზე; არც ერთი ჩვენგანი არ იცნობს და, რომ გაიცნოს, ორ სიტყვას ვერ ეტყვის ევროპიელს: აქ ყოფნით ძალა-უნებურათ

გაიცნობს, ზოგს კიდევაც დაუმეგობრდება ჩვენებუ-რი ახალგაზდა და ამნაირათ იმართება ხშირათ ურთი-ერთ შორის კავშირი და გაწყობილება. რაღაც ისეთი ბედი კი აქვს ჩვენებურ ახალგაზდებს, რომ ყოველგან, სადაც კი არიან სასწავლებელში, თუ ცხოვრებაში, დიდს პატივისცემას და სიყვარულს პოულობენ უცხოელი ამხანაგებისაგან. ჩვენზე, ქართველებზე და საზოგადოთ კავკასიელებზე ჯერეც ხომ ევ-



შახსეი-ვახსეი.

როპიელს არავითარი წარმოდგენა არ აქვს,—ჰგონიათ, თუ იქ მხოლოთ მხეცები არიან; იცნობენ ჩვენებურს „ჯიგიტებათ“ — „Des expositions russes“. თუ ჩვენში ინტელიგენტები არიან, თუ ჩვენში ლიტერატურაა, თუ ჩვენ რამე კულტურა გვქონია,— ეს აზრადაც არ მოუვათ. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ გამოვდგეთ და ვარწმუნოთ ყველა ევროპელი ჩვენ რა ვართ, ან რა ვყოფილვართ ოდესმე, მაგრამ

საქმესთან ესეც მეორენაირი სარგებლობა გამოდის, რომ ევროპიელები თან და თან ეცნობიან ჩვენ ქვეყანას, უფრო და უფრო ებადებათ სურვილი ნახონ ჩვენი ქვეყანა და შეისწავლონ.—მე დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი ახალი საშუალება უფრო მეტ საგრძნობელ სარგებლობას მოუტანს ჩვენ სამშობლოს, ვინემ ამოდენი ხნის ჩვენი ტრადიციონალური, ერთმხრივი განათლება. დრო არის გამოვიღვიძოთ და დავინახოთ, რომ ჩვენი ახლანდელი სწავლა-განათლების სისტემა ჩვენთვის სრულიად გამოუდეგარი, უსარგებლო რჩება, თუ არ ვეცადეთ მოვახმაროთ რამე აზრს, რამე მიზანს ჩვენი ძალა და ჩვენი ცოდნა.

ნიკო გურული

## შახსეი-ვახსეი.

ამ სახელით დღესას აულობენ სპარსელები თავის წინასწარმეტყველის ალი-იბნ-აბი-ტალიბის მოწამეობას. ეს ალი იყო მაჰმადიდან მეოთხე ხალიფან ტახტზე აყვანილი. თვითონ ალი ბიძათ ერგებოდა მაჰმადს. მისმა წინასწარმეტყველებამ და სიბრძნის წიგნმა განხეთქა მაჰმადის სარწმუნოებისანი ორ ნაწილათ. ერთს მათგანს ეწოდა შიიტის სარწმუნოების აღმასრულებელნი. ამათ რწამსთ ნამდვილ წინასწარმეტყველათ ალი და მაჰმადს მწვალებლათ აღიარებენ. ალი მოკლეს მაჰმადის მორწმუნეთა, ანუ სუნიტებმა, ქალაქს კუფას და მასთან ამოწყვიტეს მისი ნათესაობა სულ ერთიანათ. ეს მოხდა იანვრის 19-ს 661 წელს ქრ. აქეთ.

ამ დღიდგან მაჰმადის სარწმუნოება გაიყო ორათ: შიი და სუნნი.

სუნნის სარწმუნოებისანი არიან ოსმალნი, ხოლო შიიტებათ იწოდებიან სპარსელები. როგორც ოსმალებს აქვს თავისი დღესასწაული, რამაზანი, აგრეთვე შიიტებსაც აქვთ თავისი დღესასწაული შახსეი-ვახსეი. ამ დღესასწაულობის დროს სპარსელები შეიკრიბებიან თავის სალოცავებში, დასხდებიან მოფენილ ხალებზე და იწყებენ გოდებას და ტირილს სიმღერის ხმაზე. მათ წინ კათედრაზე დგას მულლა, რომელიც მწუხარე ხმით მოუთხრობს მლოცველებს ალის ტანჯვას და მის ცოლ-შვილის გაწყვეტას სუნნიტებისაგან, ანუ ნამდვილ მაჰმადიანებისაგან. მისი საგრძნობელი კილოთი მოთხრობა ალის წვალებისა საშინელს მწუხარებას გამოიწვევს ხოლმე მლოცველებში, რომელნიც იცემენ ხელს თავში, იხოკვენ პირს, იკაწვრენ გულს იქამდე, სანამ სისხლი არ დადინდებათ, თან მაღალი ხმით ქვითინებენ და იძახიან „შახსეი-ვახსეის“. ამას შემდეგ ისინი გამართვენ დიდ ლიტანიობას; მრავალი მართლმორწმუნე ალისა ამასაც არ კმარობს: ზოგი მათგანი ხანჯლით იკოდვენ ტანსა და თავ-პირს ასე, რომ მათ გადმოდის სისხლის კამარა. ქალაქ კუფაში, საცა ალი არის დამარხული, მისი ძეგლია ამართული და მრავალი მლოცველი შიიტის სარწმუნოებისა მიდის იქ ინდოეთიდან, სპარსეთიდან და ყოველ ქვეყნიდან, საცა კი შიიტის სარწუნოების მაჰმადიანი მოიპოვება; ისინი განსაკუთრებული მძვინვარებით დღესასწაულობენ შახსეი-ვახსეის და მიიღებენ მრავალგვარ ჭრილობას თუ ხანჯლით, თუ დანით, თუ ხრმლით. ხშირათ მოხდება, რომ მლოცველი სისხლით დაიწრიტება და სულს განუტევებს. აქ დახატული სპარსელი ახალგაზდა ნათლათ წარმოგვიდგენს შახსეის დღესასწაულობას. ამ დღესასწაულობის გადახდა იციან სპარსელებმა ალის მოკვლის დღეს.

## საშინელი ქარიშხალი

(გაგრძელება მოთხრობისა „პირველი ტალღები“)

შემდეგი *)

### X

ჰო, იმას მოგახსენებდით, დაიწყო გურგენ გურგენიძემ: რომ ჩვენი ქვეყანა სულ უარ და უარ მიდის-მეთქი. ნამეტურ ჩვენი თავად-აზნაურობა დაეცა დასაზარელს სურათს წარმოადგენს: თუ რამე გააჩნდათ, შეჭამეს და ახლა ან ავაზაკობა უნდა დაიწყონ და დიდ გზაზე გავიდენ, ან სხვა-და-სხვა გვარ „მაშენიკობას“ მიჰყონ ხელი, რომ ღირსეულათ იცხოვრონ და დრო ატარონ. მე მგონია, ჩვენ, ვისაც გვესმის ეს გარემოება და ვგრძნობთ ამ მდგომარეობას, უნდა ვიღონოთ რამე!..

— ჩვენ რა შეგვიძლია მერე ამ სენის წინააღმდეგ? —ჰკითხა ღიმილით უგანათლებულესმა კნეინამ.

— აი, ბატონო, ახლავე მოგახსენებთ, არ შე-

*) იხ, „კვალი“ № 30

გვიძლია: დღეს ჩვენ აქ ოციოდე კაცსა და ქალს გვაქვს მოყრილი თავი, შევერთდეთ და დავაარსოთ საზოგადოება, რომელსაც თუნდ Общество трезвость **) ვუწოდოთ. მერე გავავრცელოთ ხალხში ჩვენი მოქმედება, მოვიპოვოთ ახალი წევრები და გავაფართოვოთ ჩვენი წრე ჩვენი მიზანი უნდა იქმნეს, საქართველოში ლოთობისა და უბრალოთ დროს გატარების აღმოფხვრა, რაც არის უპირველესი და უმთავრესი მიზეზი ჩვენის თავად-აზნაურობის დაცემისა და გათახსირებისა და მასთან ერთათ მთლათ ჩვენის ქვეყნის დაქვეითებისა, რადგან, მოგეხსენებათ, თავად-აზნაურობა, როგორც სახელიც გვაუწყებს, თავია ჩვენი ქვეყნისა, ხოლო, რასაკვირველია, თუ თავი დაუსნეულდა კაცს, მისი საქმე წასულია! ხელს, ფეხს მოიჭრის კაცი და კაცათვე დარჩება, მაგრამ თავის მოჭრა კი არ შეიძლება! მაშასადამე წამლობაა მისთვის საჭირო და ჩვენც უნდა შევუდგეთ ამ წამლობას!

— მერე ჩვენ რა საშუალება გვექმნება ლოთობის და ქეიფობის აღმოსაფხვრელათ? იკითხა ისევ უგანათლებულესმა კნეინამ.

— ჩვენ დავაწესებთ, ბატონო, რომ არც ერთმა ჩვენმა წევრმა ღვინო არ დალიოს... დაიწყო გურგენმა.

— რას ამბობ, კაცო, ღვინო არ დალიოს ქართველმა კაცმა, მაშ, რა დალიოს? წამოიძახა თავადმა ნესტორ მაჩიტაძემ, რომელიც, ეტყობოდა, ახლაც შეზარხოშებული უნდა ყოფილიყო, რასაც ამტკიცებდა ის გარემოება, რომ ერთობ თამამათ ეარშიყებოდა თავის მეზობელს, ახალგაზდა ქვრივს კატო კაცაშვილისას, და მსჯელობას ყურადღებასაც არ აქცევდა; მხოლოთ მაშინ წამოცქვიტა თავადმა ნესტორმა ყურები, როცა ღვინო ახსენეს და შეუტია გურგენიძეს.

— არა, იმას-კი არ ვამბობ, რომ სულ ნუ დალევს, არ უნდა დათვრეს მხოლოთ, უპასუხა გურგენმა ნესტორს.

— ვინც ღვინოს დალევს, კიდევაც დათვრება: ეს ასე მომდინარეობს ნოედან, რომელმაც პირველათ „ინება ყურძნის წვენის გემოვნება, თვეთონ ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვს მიანება!“ —თქვა ნესტორმა და უკანასკნელი სიტყვები სიმღერით წამოიღიღინა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, კნიაზ ნესტორ, ჯერ გაათავოს თავისი სათქმელი გურგენმა! მიუბრუნდა ნესტორს უგანათლებულესი კნეინა.

— უკაცრავათ, უკაცრავათ, დანაბუღის კილოთი წარმოთქვა ნესტორმა: აწი ხმას აღარ ამოვიღებ! მართლაც ნესტორი მიუბრუნდა ისევ თავის მეზობელს და დაუწყო ჩურჩული, გამხიარულებული, რომ თავისი აზრი წარმოთქვა და დაასაბუთა კიდეც პოეტის სიტყვებით.

— მე გავათავე, ბატონო, მე მხოლოთ ის მინდოდა მეთქვა, რომ დავაარსოთ მეთქი საზოგადოება და შეერთებული ძალით ვებრძოლოთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც არის საქართველო, თქვა გურგენმა. ცოტას ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— არაფის გინდათ, წარმოთქვათ თქვენი აზრი გურგენის წინადადების შესახებ? იკითხა კნეინა N-ისამ და შემოავლო კრებას თვალები, რომელნიც ბოლოს ექიმ ხონარიძეზე შეაჩერა.—მელიტონ სპირდონიჩ, არც თქვენ იტყვით რასმე? ცხადი იყო, რომ თუ ყველას არა, უგანათლებულეს კნეინას მაინც, მელიტონი პირველ ორატორათ მიაჩნდა. ეს მართლაც ასე იყო: მელიტონი ნიჭიერი მოლაპარაკე იყო, რასაც ხელს უწყობდა, როგორც მისი გარეგანი შეხედულება და რიხიანი ხმა, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბევრი ნაკითხი იყო და საკმაოთ განვითარებული თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. ის მთელ დასავლეთ საქართველოში სახელგათქმული იყო, როგორც შესანიშნავი ექიმი უმთავრესი მისი ღვაწლი ის იყო, რომ ხალხს, დაბალ ხალხს შეაყვარა ექიმი თავის მუყაითობით, თავმდაბლობით, საქმის ერთგულებით და უანგარობით.

— მე მოგახსენებთ ჩემს აზრს, მაგრამ ჯერ, იქმნება, სხვას უნდა ვისმე ლაპარაკი, თქვა მელიტონმა რუსულათ, რადგან ქართული იმდენათ არ ეხერხებოდა; სხვებიც უფრო ხშირათ რუსულათ ლაპარაკობდენ და მხოლოთ აგერ—აგერ გამოურევდენ ხოლმე ქართულს.

— ბრძანეთ, ბრძანეთ, ჯერ თქვენ ბრძანეთ! დაიძახეს აქეთ-იქიდან თავმჯდომარესთან ერთათ და მელიტონიც, როგორც ნამდვილი ორატორი, წამოდგა ფეხზე.

— მე, რასაკვირველია, სრულიად ვეთანხმები გურგენს, რომ ცუდს მდგომარეობაში ვიმყოფებით ამ ჟამათ; რომ ნამეტურ ჩვენი თავად-აზნაურობაა ერთობ დაცემული, მიწასთან გასწორებული, მაგრამ, ბატონებო, ეს მდგომარეობა ჩვენით არის გამოწვეული და წამალიაც მისი ჩვენ ხელთ არა გვაქვს. დრომ მოიტანა ეს მდგომარეობა. და მის შეცვლაც მხოლოთ დროს შეუძლია კეთილათ, ან კიდევ უფრო ცუდათ. დიახ, ბატონებო, დროის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია; ამას მოწმობს მეცნიერებაც და პრაქტიკული სიბრძნეც, რომელიც ამბობს, დრონი მეფობენ და არა მეფენიო. შეხედეთ,

**) სიფხიზლის საზოგადოება

ბატონებო იმ უზარმაზარ მთებს, რომელნიც გარს გვახვევიან, ისინი დრომ გადაჰქმნა უბრალო წერტილებიდან ამ ხელა მთებათ! შეჰხედეთ მცენარეს, რომელიც ჯერ აყვავდება. მერე ფოთოლს მოისხამს, მერე ნაყოფს და მერე ისევ შიშვლდება და თითქმის ჰხმება. განა ჩვენ შეგვიძლია, მცენარეს შევუცვალოთ ეს მისი ერთფეროვბა! არა, არ შეგვიძლია. შეიძლება ზოგიერთი მცენარე ჩვეულებრივზე უფრო ადრე ავაყვავოთ, ან უფრო დიდხანს შევარჩინოთ ნაყოფი, ან ერთნაირზე მეორე ნაირი დავმყნათ სხვა-და-სხვა ხელოვნებით, მაგრამ ყოველს შემთხვევაში მისთვის ბუნებისაგან დაკუთნებულ ერთფეროვბას მაინც ვერ შევუცვლით, საზოგადო კანონი, რომელსაც ემორჩილება ყოველი არსება, სულიერი თუ უსულო, გადუვალია, დაურღვევალია. ამიტომაც ბატონებო, მე იმ აზრისა ვარ, რომ ვერავითარი კერძო ზომა, ჩვენ მიერ მიღებული ვერ შეცვლის იმ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ ვართ ამ ჟამათ. როცა დრო მოვა, თავის თავათ შეიცვლება ყველაფერი, თუ შესაცვლელია, ჩვენ კი სრულიად უძლურნი ვართ, თქვა და დაჯდა მელიტონი, რომელსაც თანხმობისა და მოწონების ნიშნათ მთელ ამ ლაპარაკის დროს თავს უქნევდა უგანათლებულესი კნეინა.

— მე და ჩემმა ამხანაგმა, როგორც ექიმებმა, ვიცით, რომ, როცა ავათმყოფობის რადიკალური წამალი ხელთ არა გვაქვს, პალიატიურ საშუალებათ უნდა მივმართოთ ხოლმე და მიკვირს, აქ რათ უარყოფს მელიტონ სპირდონიჩი ამ საშუალებას. ჩემის აზრით გურგენის აზრი ჩინებული აზრია. და „Общество трезвости" *) იქმნება, თუ სხვა საზოგადოება, ბევრ სიკეთეს მოგვიტანს, თქვა მეორე ექიმმა, ვანო კახაბერიძემ.

— პალიატიურ საშუალებათ ხანდახან დროებით ვხმარობთ ავათმყოფობის დროს, სანამ ავათმყოფობის ნამდვილ მიზეზს გავიგებდეთ და რადიკალურ საშუალებას მივაგნებდეთ, ხანდახან კი მხოლოთ სინიდისის დასამშვიდებლათ და ჭირისუფალთა სანუგეშებლათ. საზოგადოების და მთელი ერის შესახებ კი ამ გვარი საშუალება სრულიად მეტია, რადგან მას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება, უპასუხა მელიტონმა კახაბერიძეს. კახაბერიძემაც უთხრა რაღაც, მაგრამ მათმა ლაპარაკმა კერძო ხასიათი მიიღო და სხვას არავის გაუგონია; სხვებმაც ცალ-ცალკე დაიწყეს ლაპარაკი და აირიენ.

დუტუ მეგრელი.

(შემდეგი იქნება)

*) სიფხიზლის საზოგადოება

## ღია წერილი ბ. ტ. ივანიცკის

თქვენ თავ-გასამართლებელ წერილში, რომელიც დასტამბულია „კვალის" მე-30 №-ში, სხვათა შორის მეხებით, მეც შემდეგი სიტყვებით'': მე და სხვებსაც ბევრჯელ გაგვიგონია აქაური ხალხისაგან, როცა საყდრიდან გამოვსულვართ წირვას შემდეგ, რომ „ჩვენ თავში ვერ ჩავვარდითო", ე. ი. ვერ გავიგეთო, რაც იქადაგა საყდარში „ქართულით მანასულ" (საქართველოდან მოსულმა) ბლაღოჩინმა და ბერმაო. „სან, ალლა, უთხარათ, აელა კაი გორა თავში ჩაგვაგდონო", ე. ი. თქვენ და თქვენი ღმერთი უთხარით, რომ კარგათ გაგვაგებინონო, ამბობენ ინგილოები. მართლაც ამ პატივცემულ პირთა ჰგონიათ ქართლში ვქადაგობთ, ან სემინარიელებს ვესაუბრებითო"...

ბერს ზაქათალის ოლქის ქართველები ჩემს მეტს არავის ეძახდენ; ყველა, ვინც კი მიცნობდა, ნაცვლათ საკუთარი სახელისა მიწოდებდა ბერს და ამის გამო ზემო ამოწერილ სიტყვებს მე ვიღებ ჩემ თავზე. თქვენი აზრით, ბ. ივანიცკი, ჩემი სიტყვა-ქადაგება ყოფილა სრულებით უაზრო, ამაო და გამოუსადეგარი ზაქათალის ოლქის ქართველებისთვის, იმიტომ რომ, ადგილობრივი ენის უცოდინარობის გამო, ჩემი სიტყვა არა სმენია არავის და მე ვყოფილვარ „ვითარცა ჰაერსა მეტყველი". ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონო, მართლა „ბევრჯელ" გსმენიათ ჩემი სიტყვა-ქადაგება, რომ ასე გადაწყვეტით ბჭობთ იმის ღირსებაზე?! როდესაც ზაქათალის ოლქში მოვდიოდი ხოლმე საქადაგებლათ, თქვენ იმყოფებოდით თფილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლეთ, შემდეგ წაბძანდით ყაზანში და, ყაზანიდან თქვენ, დაბრუნებას შემდეგ, მე აღარ დავრჩენილ-

ვარ ხსენებულ ოლქში ორი-სამი კვირის მეტი. რა გამოდის აქედან? ისა, რომ თქვენ არა გქონიათ შემთხვევა ჩემი ქადაგების „ბევრჯელ“ მოსმენისა და, თუ ხმარობთ ამ სიტყვას, ხმარობთ სიცრუით, ხოლო „ყოველივე სიცრუე“, ბძანებს მოციქული იოანე, „ცოდვა არს“. მეორეთ ისა, რომ თქვენ საზიზღარ ცილსა სწამებთ უბრყვილო ქრისტიანებს, რომელსაც წერთ, ვითომდა მათ მოემართოსთ თქვენთვის ხვეწნით: უთხარით ბერს და ბლალოჩინს კარგა მიგვახედრონ ხოლმე თავიანთ ქადაგებასაო. ცილსა სწამებთ მეთქი, მოგახსენებთ, ქრისტიანებს იმისთვის, რომ, როგორც ზევითა ვთქვი, შემდეგ თქვენი ჩამოსვლისა ყაზანიდან მე დავრჩი საინგილოში სულ მცირე დროს და საჭიროება არ მოითხოვდა, რომ ვისმე შეეწუხებინეთ აღნიშნული თხოვნით. რაც შეეხება იმას, მართლა ჩემი ქადაგება გასაგონი იყო ხალხისათვის თუ არა, ამაზე მსჯელობა შეუძლიათ იქონიონ მხოლოთ იმ პირთ, რომლებიც დაიარებოდენ წირვალოცვაზე და ისმენდენ ხოლმე ჩემ ქადაგებას. ამ გვარნი არიან სოფ. კაკში მცხოვრებნი გლეხნი: ზაქარია, სვიმონ და იასე ოთარაშვილები, შიო ხუციშვილი, მიხეილ პაპიაშვილი, ირაკლი ფოლადაშვილი, ნიკოლოზ ფაჩხატიშვილი, თევდორე ისაშვილი, იაკობ ჯანაშვილი, იაკიმ ზურაბაშვილი, ალექსანდრე ნურავიშვილი, მიხეილ ბეროშვილი, სვიმონ ოსიაშვილი და მრავალნი სხვანი, რომლების სახელები არ მაგონდება, და არც საჭიროა თითოეულათ მათგანი ჩამოვთვალო აქ. თუ ხსენებულმა გლეხებმა დაგარწმუნეს, რომ მათთვის ჩემი ლაპარაკი და მოძღვრება ყოველთვის მისახვედრი და გასაგები ყოფილა, ნება მიბოძეთ ნამდვილათ ვიწამო ყველაფერი ის, რაც დაწერილი იყო თქვენ შესახებ „კვალის მე-№ 25-ში.

რამ გაიძულათ ახლა ჩემზე და ბლალოჩინზე იერიშის მოტანა? იმან, რომ მე და ბლალოჩინი, როგორც თქვენა ბძანებთ, „ქართულით მანასულ“-ები ვართ და არა ყარაბალდურში, ან იბახლოში დაბადებულნი. აი, ჩემო ძვირფასო, ამ გარემოებას ვერ შეთვისებიხართ და „ნამეტნავისაგან გულისა“ პირითა იტყვით. აქ ინგილოური კილო და პავლე მოციქულის საღმრთო მოძღვრება არაფერ შუაში არ არის; ეს მხოლოთ ოსტატობაა, სიტყვის ფანდია, სხვა არაფერი. თუ მე და ბლალოჩინი მედგრათ ვებრძოდით ყველაფერს, რასაც კავშირი ჰქონდა თათრობასთან და მაზარალებელი იყო ქართველობისთვის, თუ ჩვენ მუდამ ვცდილობდით მანდაური ქართველები შეგვეჩვია სახარების ხალასი ენისთვის და ამის გამო უალაგოთ მიგვაჩნდა ქადაგებაში თათრული სიტყვების ჩარევა, თუ ჩვენ მანდაურ ქართველებს მუდამ იმას ვაგონებდით, რომ ჩვენი ძმები არიან და თავიანთ საკეთილოთვე უნდა ცდილობდენ ქართლელ-კახელ-იმერლებთან დაახლოებას ენითაც, ზნეობითაც, მიხვრა-მოხვრითაც, ჩაცმა-დახურვითაც, მოლხენითაც და მოწყენითაც,—სამაგიეროთ თქვენ, რაიც ცხადობს ხელით საგოგმანებელი თქვენი წერილიდან, -სულ სხვაგვარი შეხედულობისა ბძანებულხართ ამაზე. ჩვენებური „შენ“ თქვენ გადაგიქცევიათ—„სანათ“, ღმერთისათვის დაგიმჯობინებიათ ალლა, სარწმუნოებისათვის—დინ, სახარებისათვის—ინჯილ, მოციქულისთვის--ფეჰამბარ; სამოთხე გიქცევიათ ჯანნაათათ, ჯოჯოხეთი—ჯაჰნაბათ და სხვ. და სხვ. გარდა ამისა გიცვნიათ საჭიროთ არა ინგილოს დაარქვათ „უცხოელი“ და „მანასული“, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ არ დაუახლოვოთ მანდაურები ქართლელ-კახელებს, ჩამოაგდოთ ღვიძლ ძმებშუა შური და მტრობა. გაიხსენეთ ამ აზრის დასასაბუთებლათ ის ქცევა, რომელიც ჩაიდინეთ მიმდინარე წლის აპრილის ოცდა სამს მთელი ხალხის ყრილობაში და თითონ თქვენ დაარქით ამ საქციელს ჯეროვანი სახელი.

ეჰ კმარა! თავს არ შეგაწყენთ მეტი ლაპარაკით. ვათავებ ჩემ წერილს და გთხოვთ მხოლოთ შემდეგს: ა) იქონიოთ მხედველობაში ყოველთვის რედაქციის ის საგულისხმო შენიშვნა, რომელიც აშვენებს თქვენი წერილის ბოლოს. ბ) აიღოთ ხელი სამუდამოთ სიცრუესა და ცილის წამებაზე; გ) იზრუნოთ ბეჩავი ინგილოებისათვის ისე, როგორათაც ზრუნავთ თქვენი სისხლისა და ტომის მულალებისათვის.

ა. დ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოთ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემო აღნიშნულ რიცხვებში ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გაყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გადასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გაყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმათ ბანკის წესდების მე-19 §-ისა შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდან ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლათ დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოთ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროთ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთათ და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასაყიდელთ მამულთ აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 20 სეკტემბერს 1895 წ.

ვაჭრობაა დანიშნული 30 აგვისტოს 1895 წელსა.

$18^{7}/_{12}$ და $19^{11}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

დარახველიძისა მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საჭ. თავნი ვალი 564 მ. 54 კ. შეს. გარდ. 397 მ. 54 კ. სულ 961 მ. 76 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^{1}/_{2}$ კვადრ. საჭ. თავნი ვალი 22 მან. 75 კ. შეს. გარდ. 261 მ. 70 კ. სულ 284 მან. 45 კ.

დიასამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საჭ. თავ. ვალი 152 მან. 54 კ. შეს. გარდ. 264 მ. 66 კ. სულ 417 მ. 20 კაპ.

მურვანოვისა პეტრე სიმონის ძის სილაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 210 კვ. საჭ. თავ, ვალი 28 მ. 7 კაპ. შეს. გარდ. 38 მან. სულ 66 მან. 7 კაპ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საჭ. თავ. ვალი 160 მ. 78 კაპ. შეს. გარდ. 104 მან. 98 კ. სულ 265 მ. 76 კ.

ჩოგოვაძისა ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საჭ. თავ. ვალი 80 მ. 24 კ. შეს. გად. 64 მ. 57 კ. სულ 144 მ. 81 კ.

ლორთქიფანიძისა ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჭ. თავ. ვალი 312 მ. 78 კ. შეს. გარდ. 184 მ. 83 კ. სულ 497 მ. 61 კ.

რუხაძისა ლევან გიორგის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა $46^{1}/_{2}$ კვ. საჭ. თავ. ვალი 104 მ. 57 კ. შეს. გარდ. 62 მ. 56 კ., სულ 167 მ. 13 კ.

ფიჩხაძისა აბრამ და ისაკ ფილხანზის

ძეთა: ბაზრის ქუჩ. ერთსართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 კვად. საჟ. და 1 კვ. ალაბი. თავ. ვალი 1019 მ. 88 კ. შეს. გარდ. 397 მან. 40 კაპ., სულ 1417 მან. 28 კაპ.

ხანანაშვილისა შაფათა ისხაკის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 კვ. საჟ. თავ. ვალ. 637 მ. 33 კ. შესატ. გარდ. 235 მ. 67 კ., სულ 873 მან.

ხურციძისა თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 105 მ. 98 კ. შეს. გარდ. 48 მ. 70 კ. სულ 154 კ., 68 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 1000 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 233 მ. 67 კ. შეს. გარდ. 125 მ. 64 კ. სულ 359 მ. 31 კ.

ჩიკვაიძისა მიხაილ თომას ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 106 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 212 მ. 47 კ. შეს. გარდ. 79 მ. 41 კაპ, სულ 290 მან. 18 კაპ.

ალავიძეთა ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 299 მ. 93 კ. შეს. გარ. 96 მან. 35 კ. სულ 396 მ. 28 კ.

კანდელაკისა დომენტი სიმონის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვადრ. საჟ თავ. ვალი 250 მ. შეს. გად. 97 მ. 81 კ. სულ 347 მ. 81 კაპ.

მაღლაფერიძისა თომა მამუკას ძის და გვესელავასი ყარამან მიხაილის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 215 კვად. საჟ. თავ. ვალი 250 მან. შეს. გარდ. 106 მ. 16 კ. სულ 356 მ. 16 კ.

ცქიტიშვილისა ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 50 მან. 3 კაპ. შეს. გარდ. 33 მან. 16 კ. სულ 83 მ. 19 კ.

შაშუაშვილისა შალომ აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 კვადრ. საჟ. და 5 კვადრ. ალაბი. თავ. ვალი 1049 მ. 75 კ. შეს. გარდ. 324 მ. 88 კ., სულ 1374 მ. 63 კ.

ბუზიაშვილთა ისრაილ ელოს ძის: შამოელა, მიხაილ და რაფიელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 კვადრ. საჟ. და 5 კვ. ალაბი. თავ. ვალი 1145 მან. 59 კ. შეს. გად. 358 მან. 32 კაპ. სულ 1503 მ. 91 კ.

მურადოვისა ეკატერინა მელქონის ასულის და ნიკოლაიშვილისა, ოქროპირ როსტომის ძის: ალექსანდრეს ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 145 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 1431 მ. 72 კ., შეს, გარ. 160 მ. 48 კ. სულ 1592 მ. 20 კ.

ხმალაძისა პავლე სპირიდონის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 8 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 5072 მ. 70 კ. შეს. გარ. 137 მ. 75 კ., სულ 710 მ. 45 კ.

უტულოვისა მარიამ ალექსის ასულის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 585 მ. 65 კ. შეს. გარ. 157 მ. 37 კ.სულ 743 მ. 2 კ.

ჯინოშვილისა პავლე ივანეს ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 434 კვ. საჟ თავ. ვალ. 2509 მ. 35 კ. შეს. გარ. 623 მ. 2 კ., სულ 3132 მ. 37 კაპ.

ისაევისა მიხაილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 კ. საჟ. თავ. ვალი 321 მ. 55 კ. შეს. გ. 101 მ. 64 კ., სულ 423 მ. 19 კაპ.

ჩარექოვისა პეტრე იოსების ძის: ქარავან-სარაის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 148 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 1608 49 კაპ. შეს. გარ. 403 მან. 99 კ, სულ 2012 მ. 48 კ.

შავგულიძეთა: პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 215 კვადრ. საჟ. თავ. 482 მან 48 კ. შეს. გარ 112 მ. 89 კაპ. სულ 595 მ. 37 კ.

შავგულიძისა თედორე სიმონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 395 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 128 მ. 68 კ. შეს. გად. 55 მ. 47 კ., სულ 184 მ. 15 კ.

ზინიაურიშვილისა აბრამ მოშას ძის გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა $77^1/_2$ კვ. საჟ. თავ. ვალი 640 მ. 79 კაპ. შეს. გარ. 126 მ. 37 კ., სულ 767 მ 16 კ.

ქორქაშვილისა მარიამ სიმონის ასულის და ქუთათელაძისა ივანე პაატას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 345 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 712 მ. 1 კ. შეს. გარ. 135 მან. 33 კ, სულ 847 მ. 34 კ.

კა[illegible]ოლკინისა მარიამ მიხაილის ასულის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 228 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 177 მ. 91 კ. შეს. გ.

69 მან. 39 კაპ., სულ 217 მ. 30 კ.

მეკინულოვის იაკობ ისხაკის ძის: გაგარინის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 101 კვადრ. საქ. თავ. ვალი 961 მ. 28 კ. შეს გარ. 226 მ. 11 კ., სულ 1187 მ. 39 კ.

ნიკოლაევის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 197 კვადრ. საქ. თავ. ვალი 498 მ. 43 კ. შეს. გარ. 1028 მან. 34 კაპ. სულ 626 მ. 77 კაპ.

რუსაძის ლუკა ნიკოლოზის ძის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 79,5 კვადრ. საქ. თავ. ვალი 177 მ. 93 კაპ. შეს. გარ. 54 მ. 35 კაპ., სულ 232 მან. 28 კაპ.

სვანიძის ზაქარია ანტონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 70 კვად. საქ. თავ. ვალი 1068 მან. 6 კ. შეს. გარ 240 მან. 7 კაპ. სულ 13 8 მან. 13 კაპ.

ხანანაშვილის შამუელა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 3 კვად. თავ. ვალი 320 მ. 43 კ. შეს. გარ. 77 მ. 69 კაპ. სულ 398 მ. 12 კაპ.

იაკობიშვილის ისხაკ და რაფაილ დავითის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 12,7 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1068 მ. 48 კ. შეს. გარ. 252 მ. 22 კ., სულ 1320 მან. 26 კ.

მოწყვლიშვილის იოსებ ელიშაყას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 98,7 კვადრ. საქ. თავ. ვალი 421 მან. 74 კ. შეს. გად. 81 მ. 97 კაპ., სულ 503 მ. 71 კ.

ქორქაშვილის პეტრე ზურაბის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 119 კვად. საქ. თავ. ვალი 1686 მან. 78 კაპ. შეს. გარ. 183 მ. 26 კ., სულ 1870 მ. 4 კ.

ოვანეზოვის პეტრე იოვანეს ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 81 კვ. საქ. თავ. ვალი 295 მ. 28 კ. შეს. გარ, 63 მ. 53 კ., სულ 358 მან. 81 კაპ.

მანიაშვილის აბრამ იოსების ძის და რუთა ყობოს ასულის: ებრაელის ქუჩაზე ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 86 კვადრ. საქ. თავ. ვალი 168 მ. 57 კაპ. შეს. გარ. 35 მ. 5 კ., სულ 203 მ. 62 კ.

რაჟანაშვილის დავით ისრაილის ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 160 კვადრ. საქ. თავნი ვალი 506 მ. 8 კაპ. შეს. გარ. 98 მან. 26 კაპ., სულ 604 მან. 34 კ.

რუსაძის კესარია ათანასეს ასულის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 243 კვადრ- საქ. თავნი ვალი 337 მ. 36 კაპ. შეს გარ. 75 მ. 74 კ., სულ 413 მ. 10 კ.

ჩიკვაშვილის იოხანან აბრამის ძის: ფრანგების ქუჩაზე ორი სახლი: ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი ხის და მიწა 161 კვ. საქ. თავ. ვალი 1054 მან. 25 კაპ. შეს. გარ. 224 მ. 95 კაპ., სულ 1279 მ. 20 კ.

შამელაშვილის რიბკა დავითის ასულის: ურიების ქუჩის შესახვევში ერთ-სათრულიანი ხის სახლი და მიწა $23^2/_3$ კვადრ. საქ. თავნი ვალი 126 მ. 48 კ. შეს. გარ. 45 მ. 26 კაპ. სულ 171 მ. 74 კაპ.

შამელაშვილის ისხაკ ელოს ძის: ურიების ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 21 კვადრ. საქ. თავ. ვალი 168 მ. 59 კ. შეს. გარ. 54 მ. 86 კაპ., სულ 223 მ. 45 კ.

შამოევის მართა ტერ-გრიგოლის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 158 კვადრ. საქ. თავ. ვალი 8 მ. 32 კაპ. შეს. გარა 147 მ. 14 კ., სულ 695 მ. 46 კ.

მემკვიდრეთა ერისთვის დავით გრიგოლის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ორი სახლი ერთი ქვითკირის ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 357 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1686 მ. 77 კაპ. შეს. გარ. 293 მ. 96 კ., სულ 1980 მ. 73 კ.

ასათიანის სიმონ იესეს ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 72 კვად. საქ. თავ. ვალი 186 მ. 95 კ. შეს. გარდ. 48 მ. 43 კ. სულ 235 მ. 38 კ.

ასათიანის ალექსი კაციას ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 კვადრ. საქ. თავ. ვალი 202 მ. 7 კ. შეს. გარდ. 44 მ. 49 კ. სულ 246 მ. 56 კ.

ერისთვის ანასტასია ალექსის ასულის: ინგლისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 430 კვადრ. საქ. თავ. ვალი 5388 მან. 61 კაპ. შეს. გად. 705 მ. 66 კ. სულ 6094 მ. 27 კ.

გაბაევის ისიდორე გიორგის ძის: ლაზარევის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 248 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1744 მან. 12 კ. შეს. გარდ. 165 მ. 7 კ. სულ 1909 მან. 19 კ.

კლდიაშვილის გიორგი დავითის ძის: მიხაილის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახ მაღაზიებით და მიწა 154 ადრ. საქ. თავ. ვალი 2162 მ. კ. შეს. გარდ. 227 მ. 35 აპ., სულ 2390 მ. 1 კ.

ლორთქიფანიძის ბარბაბა იოსების ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 55 კვადრ. საქ. თავ. ვალი